საქართველო

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

N 47 1485
24/09/2020

1485-47-4-202009241151

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების პირობებიან ელექტრონულ აუქციონზე პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ და „ე.ე“ პუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. პირობებიან ელექტრონულ აუქციონზე განხორციელდეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი და მოძრავი ქონების პრივატიზება და სარგებლობის უფლებით გადაცემა:
   - ქ. ტყიბულში კ/ლომაძის მოედანი N3-ში განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 39.01.24.003) დემონტაჟის სამუშაოების განხორციელება (ნულოვანი აუქციონი);
   - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათში მდებარე 2765 $მ^2$ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 1166,36 $მ^2$ შენობა ნაგებობა, ს/კ 39.07.29.001, ქონების ღირებულება 63000 ლარი;
   - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბაში მდებარე 274 $მ^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 143 $მ^2$ შენობა-ნაგებობა (ნანგრევი ს/კ 39.04.22.072), ქონების ღირებულება 2050 ლარი;
   - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსებში, 51-ე ქუჩა N6-ში მდებარე 300 $მ^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 300 $მ^2$ შენობა-ნაგებობა (ნანგრევი ს/კ 39.07.29.024), ქონების ღირებულება 15000 ლარი;
   - მოწამეთას მონასტერთან არსებული ვიზიტორთა ცენტრი, მასთან დაკავშირებული ნაგებობები და ადგილი პარკინგისათვის (1700 $მ^2$, ს/კ 39.07.33.133), იჯარის ხელშეკრულება, წლიური საწყისი საიჯარო თანხა 8000 ლარი, იჯარის ვადა 2(ორი) წელი;

- ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მოწამეთაში მდებარე 1716 $მ^2$ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი(ს/კ 39.07.33.267), ქონების ღირებულება 8500 ლარი;
- თუნუქის სახურავი 1X1 მ 72 ც, ქონების ღირებულება 288 ლარი;

2. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს უძრავი და მოძრავი ქონების პრივატიზება და სარგებლობის უფლებით გადაცემა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

თემურ ჩუბინიძე

მუნიციპალიტეტის მერი